საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1282 2017 წლის 22 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის №83-ში, ლიტერ „ა“-ს (შენობა №1) №6 ოთახი, საერთო ფართით - 23,91 კვ.მ, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.277), პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ფ/პ ეკატერინე გიგაშვილს.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების

მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**